

ვამტკიცებ

საქართველოს კინემატოგრაფიის

ეროვნული ცენტრის დირექტორი

/თამარ ტატიშვილი/

წარმოებაში ჩაშვებულ ფილმებზე თანხის დამატების წესი და პირობები

პუნქტი 1. საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის (შემდგომში – კინოცენტრი) მიერ წარმოებაში ჩაშვებულ ფილმებზე თანხის დამატების წესი და პირობები შეეხება საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის ბიუჯეტიდან დაფინანსებულ დაუმთავრებელ ფილმებზე დამატებითი თანხების გაცემას.

პუნქტი 2. თანხის დამატების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს სსიპ-საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საექსპერტო კომისია.

პუნქტი 3. ფილმის პროდიუსერი კინოცენტრს თანხის დამატების თაობაზე მიმართავს: თუ ფილმის დასრულებას საფრთხე ექმნება და ყველა შესაძლო გზა და საშუალება დამატებითი თანხების მოძიების თაობაზე ამოწურულია, მოთხოვნისათვის არსებობს მნიშვნელოვანი საფუძველი და კინოცენტრიდან მიღებული დაფინანსების გახარჯვის დოკუმენტაციის კინოცენტრში წარმოდგენის შემდეგ გასულია მინიმუმ 2 (ორი) თვე. პროდიუსერი ვალდებულია დამატებითი თანხების მოძიებაზე უარის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში) წარმოადგინოს კინოცენტრში.”

პუნქტი 4. თანხის დამატების მოთხოვნის უფლება აქვს პროდიუსერს მხოლოდ ერთხელ ერთ ფილმზე.

პუნქტი 5. წარმოებაში ჩაშვებულ ფილმს თანხა შეიძლება დაემატოს, თუ ფილმის დაუსრულებლობა გამოწვეულია: ფინანსური დანაკარგებით, ფორს-მაჟორული გარემოებებით, ფირის ან/და აპარატურის დაზიანებით ან სხვა მნიშვნელოვანი საფუძველით.

პუნქტი 6. თანხის დამატების დროს „კინოცენტრი“ ითვალისწინებს „ეროვნული

კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ” საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტს, რომლის თანახმად სახელმწიფო დაფინანსების წილი ეროვნული ფილმის წარმოებაში არ უნდა აღემატებოდეს ფილმის საერთო ხარჯთაღრიცხვის 75%-ს, კინოცენტრიდან მიღებული დაფინანსება და დამატებით მოთხოვნილი თანხის ჯამი არ უნდა აღემატებოდეს ფილმის საერთო ხარჯთაღრიცხვის 75%-ს.

პუნქტი 7. თანხის დამატების მოთხოვნისთვის საჭიროა პროდიუსერმა წარმოადგინოს კინოცენტრში წერილობითი განაცხადი კინოცენტრის დირექტორის სახელზე და დამატებით მოთხოვნილ თანხაზე ხარჯთაღრიცხვა.

პუნქტი 8. განაცხადის შემოტანის უფლება არა აქვს პროდიუსერს:

ა) თუ მას არა აქვს წარმოდგენილი კინოცენტრიდან მიღებული დაფინანსების გახარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

ბ) თუ დამატებითი თანხის ფონდი ამოწურულია.

არ განიხილება იმ პროდიუსერის განაცხადი, რომლის პროექტი არ აკმაყოფილებს წინამდებარე წესის მე-5 პუნქტის მოთხოვნებს.

პუნქტი 9. პროდიუსერს უფლება აქვს შემოიტანოს განაცხადი კინოცენტრში კალენდარული წლის განმავლობაში ნებისმიერ დროს.

პუნქტი 10. კინოცენტრი პროდიუსერთა განაცხადებს თანხის დამატების თაობაზე განიხილავს მიმდინარე წლის განმავლობაში.

პუნქტი 11. საექსპერტო კომისია გადაწყვეტილებას თანხის დამატების ან თანხის დამატებაზე უარის შესახებ იღებს სსიპ-საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საექსპერტო კომისიის დებულების მე-3 მუხლის შესაბამისად.

პუნქტი 12. კინოცენტრი იმ შემთხვევაში იწვევს თანხის დამატების თაობაზე საექსპერტო კომისიას, თუ კინოცენტრის ბიუჯეტით განსაზღვრულია შესაბამისი თანხა.